ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 29243113**
თარიღი:**06/11/2024**

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2024 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240106 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2024 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240106 განკარგულების დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: **636 800 (ექვსასოცდათექვსმეტი ათას რვაასი)** ლარი, აქედან:

ა) საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ასევე დაზიანდა ხანძრის ან სტიქიის შედეგად დახმარების ბიუჯეტი განისაზღვროს **96800(ოთხმოცდათექვსმეტიათასრვაასი)** ლარით.

მუხლი 2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM